განკარგულება:**გ-37.37210832**
თარიღი:**24/03/2021**

განკარგულება N16

24 მარტი 2021 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების 2019-2022 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მეორე ნაწილის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების 2019-2022 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შექმნილ დროებით სამუშაო ჯგუფს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდეს 1 (ერთი) თვით.

მუხლი 2. დროებით სამუშაო ჯგუფს დაევალოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე საკრებულოს წარუდგინოს გადაწყვეტილების პროექტი ან დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

მუხლი 3. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდეს 2021 წლის 16 აპრილამდე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 5. ეს განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი